



## როგორ აყალიბებს პროექტი VIRTUALLYEDU ციფრულ წიგნიერებას განათლებაში: მენტორ მაქსიმ იაჰვიჩის ხედვა

ციფრულ ეპოქაში ციფრული წიგნიერება მნიშვნელოვანი გახდა სტუდენტებისათვის მსოფლიოს გარშემო, სწორედ მისი საშუალებით ახდენენ სტუდენტები ნავიგაციას, ანალიზსა და ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას. VirtuallyEDU, ინოვაციური საგანმანათლებლო ინიციატივა, აქტიურად მუშაობს მოცემული მიმართულებით. იგი სტუდენტებსა და მასწავლებლებს იმ უნარებითა და ხელსაწყოებით უზრუნველყოფს, რომლებიც აუცილებელია გლობალურ ციფრულ სამყაროში წარმატებისათვის. მაქსიმ იაჰვიჩი, მენტორი და პროფესორი რომელიც VirtuallyEDU იმპლემენტაციაში აქტიურად ჩართულია, გვიხიარებს თავის შეხედულებებს იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს ამ პროგრამას ციფრულ წიგნიერებაზე თანამედროვე განათლებაში და როგორ უწყობს იგი ხელს გლობალური კომუნიკაციის განვითარებას სტუდენტებს შორის.

მაქსიმ იაჰვიჩი ხაზს უსვამს, რომ VirtuallyEDU-ის მიდგომა ციფრული წიგნიერებისადმი სცდება სტუდენტებისათვის ფუნდამენტური ტექნიკური უნარების სწავლებას. პროფესორი იაჰვიჩის აზრით პროგრამა თავის სასწავლო გეგმაში აერთიანებს კრიტიკულ აზროვნებას, მედიის პასუხისმგებლიანდ გამოყენების უნარებს და ინტერკულტურულ კომუნიკაციას, რაც ქმნის გარემოს, სადაც სტუდენტები არა მხოლოდ სწავლობენ ტექნოლოგიის გამოყენებას, არამედ იგებენ მის ეთიკურ და პრაქტიკულ მნიშვნელობას. „VirtualEdu სცილდება ზედაპირული დონის ციფრულ უნარებს“, ამბობს იაჰვიჩი. „პროექტი სტუდენტებს ასწავლის დასვან კითხვები ინფორმაციის წყაროების შესახებ, შეაფასონ მათი სანდოობა და განიხილონ წყაროს მიერ ასახული კულტურული ელემენტები.

პროგრამა ასევე ხელს უწყობს ინტერკულტურულ ურთიერთობას, რაც პროფესორ იაჰვიჩის აზრით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე გლობალურად დაკავშირებულ საზოგადოებაში. ინტერაქტიული სემინარების, საერთაშორისო ქვე-პროექტებისა და ჯგუფური დისკუსიების მეშვეობით VirtuallyEdu აერთიანებს სხვადასხვა კულტურის მქონე სტუდენტებს და ქმნის მათთვის მოტივაციას როგორც ისწავლონ ერთმანეთისგან, ასევე შეიციონ ციფრული ეტიკეტისა და განსხვავებული კულტურული მოდელების მნიშვნელობა. იაჰვიჩი აღნიშნავს, რომ ეს გამოცდილება ეხმარება სტუდენტებს ჩამოაყალიბონ გაწონასწორებული პერსპექტივა გლობალური საკითხების შესახებ და გახდნენ პასუხისმგებლიანი ციფრული მოქალაქეები. „ურთიერთობა თანატოლებთან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან აფართოებს სტუდენტების პერსპექტივას ონლაინ კულტურის მრავალფეროვნებაზე და ინფორმირებული, სოციალურ ნორმებზე მორგებული კომუნიკაციის საჭიროებაზე“.



# SECOND ARTICLE

პროფესორ იავიჩის მსგავსი მენტორები გადამწყვეტ როლს თამაშობენ VirtuallyEDU-ს წარმატებაში. რეგულარული კომუნიკაციითა და დახვეწილი ხელმძღვანელობით ისინი სტუდენტებს ეხმარებიან ცოდნის გაღრმავებასა და ციფრული უნარების დახვეწაში.

მენტორები სტუდენტებს აწვდიან პერსონალიზებულ რჩევებს ყველა საჭირო სფეროში, დაწყებული კიბერუსაფრთხოების საფუძვლებიდან და დამთავრებული ეფექტური ონლაინ კვლევებით. პროფესორი იავიჩი აღნიშნავს, რომ ეს მენტორული სესიები არა მხოლოდ აძლიერებს მოსწავლეთა ტექნიკურ შესაძლებლობებს, არამედ ხელს უწყობს სტუდენტებს ციფრული წიგნიერების უფრო ფართო მნიშვნელობა შეისწავლონ. "ჩვენი, როგორც მენტორების მიზანია მოსწავლეებს გაუღვივოთ ცნობისმოყვარეობა და ციფრული ხელსაწყოების პატივისცემა", - განმარტავს ის. „ეს არ არის მხოლოდ სტუდენტთა მომზადება დღევანდელი ციფრული ლანდშაფტისთვის, არამედ მათი აღჭურვა იმ უნარებითა და აზროვნებით, რაც მათ მომავალშიც გამოადგებათ“.

დღეს, როდესაც ციფრული ინფორმაცია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას აყალიბებს, VirtuallyEDU გამოირჩევა, როგორც პროექტი, რომელიც იღწვის ციფრული წიგნიერებისა და საერთაშორისო კომუნიკაციების განათლების საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. მაქსიმ იავიჩის მსგავსი მენტორების შეხედულებებისა და თავდადების მეშვეობით, პროგრამა გარდაქმნის სტუდენტების მიდგომას ციფრული სამყაროსადმი, ამზადებს მათ იყვნენ ინფორმირებული, კულტურულად ინტეგრირებული და საჭირო უნარებით აღჭურვილი გლობალური მოქალაქეები.

**პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით**

**ალი რაშიდი, FOLKUNIVERSITETET UPPSALA-ს საერთაშორისო  
თანამშრომლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,**

ali.rashidi@folkuniversitetet.se

**იულია კოჟუნივსკა, პროექტის მენეჯერის თანაშემდე**

**უფსალას ფოლკუნივერსიტეტი,**

yuliia.kozhukivska@folkuniversitetet.se